პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---თებერვალი 2025 წელი

ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, სიმონ ჩიქოვანის ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ეგნატე ფიფიას სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. საბურთალოს რაიონში, სიმონ ჩიქოვანის ქუჩასთან არსებულ უსახელო სკვერს მიენიჭოს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ეგნატე ფიფიას სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**


ვაჟა-ფშაველას ქუჩა
ზიჩაშვილის ქუჩა
ზიჩაშვილის ქუჩა
ზიჩაშვილის

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბ-ნ გიორგი ტყემალაძეს
მოქ: ირაკლი ფიფია
მცხ: ქ.თბილისი, რევაზ აფარიძის ქუჩა N28
ტელ: 599294444
პ/ნ: 01008017360

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ბატონო გიორგი,

მოგახსენებთ, რომ 1983 წელს თევდორე მღვდლის ქუჩაზე დაიდგა ქირურგის, საზოგადო მოღვაწის , აკადემიკოს ეგნატე ფიფიას ძეგლი. (ავტორი: კონსტანტინე მერაბიშვილი). სამწუხაროდ, წლების განმავლობაში ძეგლის მიმდებარედ მნიშვნელოვნად შეიცვალა არქიტექტურა და ლანდშაფტი. ვფიქრობთ მომრავლებული სავჭრო სივრცეები, აგრეთვე ძეგლის მიმდებარედ არსებული შენობის იერსახე არ შეესაბამება ძეგლის მდგომარეობას. ოჯახის თხოვნაა ქალაქის მასშტაბით მოინახოს ალტერნატიული სივცე, სადაც მოხდება ძეგლის გადატანა.

ეგნატე ფიფია

(1901-1979)

ქირურგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი. მოიხსენიებდნენ „ქართული ქირურგიის მეფედ“, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე

დაიბადა წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯვარში.

1926 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი.

1940–1950 წლებში განაგებდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიისა და სანჰიგიენის ფაკულტეტებს, ჰოსპიტალური ქირურგიის კლინიკას, ხოლო 1950 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე სათავეში ედგა იმავე ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის ქირურგიულ კათედრას. 1943–1953 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიისა და ჰემატოლოგიის ინსტიტუტის ქირურგიული განყოფილების გამგე. 1941 წელს ის თბილისის ერთ–ერთი ევაკოჰოსპიტლის წამყვანი ქირურგიც იყო. ეგნატე ფიფიამ ქართულ მედიცინაში დანერგა ღვიძლის მკურნალობის თვისობრივად ახალი მეთოდი. ის სწავლობდა ღვიძლის ექინოკოკს, ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სისტემების დაზიანების საკითხებს. ფართოდ დანერგა წყლულვანი დაავადების რადიკალური ოპერაცია. მასვე ეკუთვნის ნაშრომები კუჭის პათოლოგიის პრობლემებზე, რისთვისაც 1977 წელს მიენიჭა სახელმწიფო პრემია. დაჯილდოებულია ორდენებით.

1955 წელს მიანიჭეს საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

1969 წლიდან იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.